საერთაშორისო სტუდენტები და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ფსიქოკონსულტირების სერვისის მიღების საჭიროება

ხათუნა ამაღლობელი
ფილოსოფიის დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აფილირებული პროფესორი

ნათელა ჭოჭუა
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

საკონფერენციო თემად გამოტანილია კვლევის შედეგები, რომელიც ეხება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოელი სტუდენტების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს და რომელიც ეფუძნება Erasmus+ პროექტის „ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრების“ (2021-2023) და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შემდგომ ინიციატივებს. კვლევის მიზანი იყო: (ა) საქართველოში მომქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (როგორც სახელმწიფო, ასევე კერძოში) უცხოელი სტუდენტების ჩივილების შესწავლა; კერძოდ: სტრესის აქტუალური წყაროების, სტრესორებთან გასამკლავებლად ფსიქოკონსულტირების აღქმული საჭიროების, აღქმული სარგებლისა და იმ ბარიერების შესწავლა, რაც ხელს უშლის სტუდენტს ასეთი მომსახურებით სარგებლობაში. (ბ) უცხოელი სტუდენტების აქტუალური პრობლემატიკის გამოკვეთა და რეკომენდაციების შემუშავება სტუდენტთა ფსიქიკური ჯანმრთელობის არსებული პოლიტიკის გამტარებლებისთვის.

შერეული მეთოდების გამოყენებით (თუმცა წარმოდგენილ თემაში მხოლოდ რაოდენობრივი კვლევის შედეგებია განხილული) მიღებული მონაცემების ანალიზმმა ცხადყო, რომ საერთაშორისო სტუდენტები განიცდიან სტრესს, რომელიც დაკავშირებულია კულტურულ ადაპტაციასთან, ენობრივ ბარიერებთან და აკადემიურ დატვირთვასთან, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს მათ მენტალურ კეთილდღეობასა და აკადემიურ მოსწრებაზე. კვლევა ხაზს უსვამს განსხვავებას ფსიქიკური ჯანმრთელობის აღქმულ და რეალურ მოთხოვნილებებს შორის, ასევე სტრუქტურულ და კულტურულ ბარიერებს ფსიქოლოგიური დახმარების სერვისებზე წვდომისათვის.

საკვანძო სიტყვები: ფსიქიკური ჯანმრთელობა, ფსიქოკონსულტირება, საერთაშორისო სტუდენტი, ფსიქო-სოციალური საჭიროებები, სტრესორები.

INTERNATIONAL STUDENTS AND THE NEED FOR PSYCHOLOGICAL COUNSELING SERVICES IN GEORGIAN HIGHER EDUCATION INSTITUTIONS

Khatuna Amaglobeli
Doctor of Philosophy (PhD), Affiliated Professor of Sukhumi State University
Natela Tchotchua
PhD student in psychology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

RESUME

This study shows the mental health concerns of international students in Georgian higher education institutions, building upon the foundation laid by the Erasmus+ project “Psychological Counseling Centers” (2021-2023) and subsequent initiatives by the Georgian Ministry of Education, Science, and Youth. The research objectives were twofold: (a) to assess mental health issues, stress sources, perceived counseling needs, benefits, and access barriers among international students in both public and private institutions; and (b) to identify actual mental health challenges faced by these students and provide policy recommendations.

Using a mixed-methods approach (although only quantitative results are discussed in the presented article), data were collected from international students across Georgia. Key findings reveal that international students face unique stressors related to cultural adaptation, language barriers, and academic pressures, significantly impacting their mental well-being and academic performance. The study highlights a gap between perceived and actual mental health needs, as well as structural and cultural barriers to accessing psychological support services.

Keywords: mental health, psycho- counseling, international student, psycho-social needs, stressors.

ფსიქიკური ჯანმრთელობა როგორც ადამიანის ჯანმრთელობის ფუნდამენტური ნაწილი, საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის აუცილებელი პირობაა. მით უფრო, თუ საკითხი ეხება ახალგაზრდებს - ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული მომავლის სიმბოლოს. სტუდენტების ფსიქიკურ ჯანმრთელობას მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. სტუდენტები, რომლებიც განიცდიან მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სირთულეებს (მაგ. მომატებული შფოთვა, დეპრესია, სტრესის მაღალი დონე და ა.შ), ნაკლებად არიან კონცენტრირებულნი სწავლაზე და შესაბამისად, პროფესიისთვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების შეძენა უჭირთ. შედეგად ასეთი სტუდენტები კვალიფიკაციის ნაკლებობას განიცდიან, რაც, თავის მხრივ, ეკომონიკური დოვლათის შექმნის პოტენციალს ამცირებს. ამასთან ერთად, სტუდენტებს შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის გადაუჭრელმა საკითხებმა, შეიძლება გამოიწვიოს ჯანდაცვის ხარჯების გაზრდა, რაც, ასევე, დამაზიანებელია საერთო ეკონომიკური კეთილდღეობისთვის. ამრიგად, ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებში, არამხოლოდ ეხმარება მათ აკადემიურ წარმატებას, არამედ, აძლიერებს საზოგადოების გრძელვადიან ეკონომიკურ პერსპექტივებს. ცივილიზებული სამყაროს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სტუდენტების ფსიქიკური ჯანმრთელობის მოწესრიგების მიმართულებით დიდი ხანია გააძლიერეს მუშაობა, რაც გამოვლინდა მათთვის უფასო ფსიქოკონსულტირების სერვისის ხელმისაწვდომობაში.

სწორედ ამ მიზნით 2021-2023წწ. საქართველოში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოორდინირებით განხორციელდა ერასმუს+ პროექტი „ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების გახსნა სტუდენტებისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში"(E-PSY – Establishment of Psychological Counseling Centers at Georgian HEIs for Students 617980-EPP-1-2020-1-GE-EPPKA2-CBHE-SP). ამ პროექტის საფუძველზე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა" პროგრამის პლათფორმაზე 2022წ და 2023წ განახორციელა ქვეპროგრამა „სტუდენტების ფსიქოლოგიური და სოციალური სერვისის პლატფორმის მხარდაჭერა", რომლის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევების შედეგებმა საქართველოს ყველა რეგიონში გამოკვეთა ის პრობლემები (ყველაზე ხშირად – შფოთვა, დეპრესია, პანიკა, თვითშეფასებისა და სოციალური ადაპტაციის ზოგადი პრობლემებითა და ეგზისტენციალური ხასიათის ჩივილებით), რომელთა გადასაჭრელად უსდ-ის სტუდენტები ხშირად მიმართავენ ფსიქოლოგიური დახმარების სამსახურებს; მათ დაასახელეს არაერთი სტრესორი, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მათ საერთო ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და აკადემიური წარმატების მიღწევაშიც შეუქმნა პრობლემები და სირთულეები. კვლევების შედეგად სტუდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ აუცილებლად მიიღებდნენ ფსიქოლოგიური მომსახურების სერვისს უნივერსიტეტის ფარგლებში, ასეთის არსებობის შემთხვევში. ეს კი უსდ-ებში ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრების აქტუალობას უსვამს ხაზს.

2022 – 2023წლებში შესრულებული კვლევები ორიენტირებული იყო ქართველი სტუდენტების ფსიქო-სოციალური საჭიროებების შესწავლაზე. მიმდინარე წლის იანვრიდან სამინისტროს გადაწყვეტილებით გაგრძელდა აღნიშნული ქვეპროგრამა, თუმცა მოცემულ ეტაპზე კვლევის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენდნენ საქართველოში სასწავლებლად ჩამოსული საერთაშორისო სტუდენტები[1], რომელთა რაოდენობა წლიდან-წლამდე იზრდება და რომლებიც საქართველოში მოქმედ არა ერთ უნივერსიტეტში ეუფლებიან მათთვის სასურველ პროფესიას. განსაკუთრებული მოთხოვნაა სამედიცინო მიმართულების სპეციალობებზე. კერძოდ:დიპლომირებული მედიკოსის და სტომატოლოგიის.

ქვეპროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევის მიზანი იყო:

(ა) საქართველოში მომქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (როგორც სახელმწიფო, ასევე კერძოში) უცხოელი სტუდენტების ჩივილების შესწავლა; კერძოდ:სტრესის აქტუალური წყაროების, სტრესორებთან გასამკლავებლად ფსიქოკონსულტირების აღქმული საჭიროების, აღქმული სარგებლისა და იმ ბარიერების შესწავლა, რაც ხელს უშლის სტუდენტს ასეთი მომსახურებით სარგებლობაში.

(ბ) უცხოელი სტუდენტების აქტუალური პრობლემატიკის გამოკვეთა და რეკომენდაციების შემუშავება სტუდენტთა ფსიქიკური ჯანმრთელობის არსებული პოლიტიკის გამტარებლებისთვის.

კვლევა განხორციელდა მიმდინარე წლის თებერვალი - სექტემბერის პერიოდში და ჩატარდა საქართველოს ოთხ უმაღლეს სასწავლებელში, კერძოდ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში (თსსუ), საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში (სეუ), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა (კსუ) და ევროპის უნივერსიტეტში (ეუ).

უშუალოდ საველე სამუშაოები მიმდინარეობდა

1 საერთაშორისო სტუდენტი - სტუდენტი, რომელიც იმ ქვეყანაში იღებს სრულ განათლებას სწავლების რომელიმე საფეხურზე, რომლის მოქალაქეობა არ აქვს.

აპრილი - ივნისის პერიოდში. კვლევის მონაცემების დამუშავება, შედეგების ანალიზი და ანგარიშის წარდგენა მომზადდა სექტემბერში.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი: ანკეტური გამოკითხვა, რომელშიც, ჯამში, მონაწილეობდა 500 სტუდენტი. ძირითად საკვლევ კონსტრუქტებად განისაზღვრა: ფსიქონსულტირების აღქმული საჭიროება, დახმარების აღქმული სარგებელი და აღქმული ბარიერები, რომლებიც შესაძლოა ხელშემშლელი აღმოჩნდეს ფსიქოკონსულტირების სერვისით სარგებლობისთვის.

ანკეტის პირველი სტრუქტურული ელემენტი გახლდათ დემოგრაფიული მონაცემების ბლოკი, რომელიც ოთხ ცვლად მოდერატორს აერთიანებდა: სქესს, ფაკულტეტს, კურსს და ქვეყანას, საიდანაც ჩამოვიდნენ საერთაშორისო სტუდენტები. მეორე სტრუქტურული ელემენტი, კი, ზომავდა ფსიქოკონსულტირების აღქმულ საჭიროებას და აერთიანებდა ექვს (6) ფაქტორს: სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების მართვის, სოციალური უნარების განვითარებისთვის დახმარების, ზოგად-ემოციური მდგომარეობების,სოციალური კონფლიქტების მართვის, თვითშეფასებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების ბლოკებს.

რაც შეეხება ანკეტის პირველ სტრუქტურულ ელემენტს, ანკეტურ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო მამრობითი სქესის 50,5% (N(252), მდედრობითი სქესის 49,5% (N(248). როგორც სტატისტიკიდან ჩანს, გენდერული ბალანსი დაცულია. რესპოდენტების 33% (N(165) სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი იყო, ხოლო 67% (N(335) კერძო უმაღლესი სასწავლებლის. გამოკითხული რესპოდენტების აბსოლუტური უმრავლესობა სწავლობდა მედიცინის ფაკულტეტზე. რაც შეეხება კურსებს, პირველკურსელთა წილი სხვა კურსებთან შედარებით მაღალი იყო: 47,6%(N(238); მეორე კურსი - 19,4%(N(97); მესამე კურსი - 15,5% (N (77); კიდევ უფრო დაბალი იყო მეოთხე და მეექვსე კურსის სტუდენტების პროცენტული მაჩვენებელი (მეოთხე - 12,6%; მეექვსე - 4,9%). და ბოლოს, იმ ქვეყნებს შორის, საიდანაც სტუდენტები საქართველოში ჩამოვიდნენ სასწავლებლად, ლიდერობდა ინდოეთი (58,3%). მას მოსდევდა პაკისტანი (19,4%); ლიბიისა და იორდანიის წილი გახლდათ 7,8% და 6,8%. ძალიან დაბალი იყო დანარჩენი ქვეყნებიდან (სუდანი, ეგვიპტე, ნეპალი, ნიგერია, ისრაელი) ჩამოსული სტუდენტების პროცენტული გადანაწილება.

ანკეტის მეორე სტრუქტურული ელემენტი ეხმიანებოდა ჩვენი კვლევის მთავარ მიზანს და გულისხმობდა საერთაშორისო სტუდენტების ფსიქო-სოციალური საჭიროებების დადგენას.

ჩატარებული კვლევის მონაცემებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ გამოკითხულ რესპოდენტებში ფსიქოკონსულტანტის დახმარების საჭიროების სიმწვავე სტრესორთა სხვადასხვა კლასის მიმართ განსხვავებულია და დაჯგუფდა სამ პირობით კატეგორიად. კერძოდ: კვლევის შედეგების ერთიანი მონაცემების მიხედვით გამოვლინდა ფსიქოკონსულტაციის დახმარების სერვისის მიღების მაღალი, საშუალო და დაბალი საჭიროებები. აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების განაწილება ფსიქოკონსულტაციის სერვისის მიღების საჭიროებების მიხედვით განხორციელდა როგორც სქესის, ასევე კურსის მიხედვით. თუმცა კონფერენციის ფორმატიდან გამომდინარე, ჩვენ შემოგთავაზებთ მიღებული შედეგების მხოლოდ ზოგად ანალიზს.

◆ დახმარების მიღების მაღალი საჭიროება გამოვლინდა შემდეგ სტრესორებთან მიმართებაში:

ა) ლექტორებთან/ადმინისტრაციასთან ურთიერთობა - 60%

ბ)სასწავლო დატვირთვასთან გამკლავება - 53%

გ) უძილობა/ჭარბძილიანობა - 50%

დ) საგამოცდო შფოთვის მართვა - 49%

ე) ემოციური არასტაბილურობის განცდა - 46%

ვ) თვითკრიტიკულობა - 46%;

ზ) სოციალური კონფლიქტების მართვასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები - 41%

როგორც ჩანს, საქართველოში სასწავლებლად ჩამოსული საერთაშორისო სტუდენტებისთვის პრობლემატურია, როგორც აკადემიურ პერსონალთან, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ურთიერთობა. ფსიქოკონსულტაციის მაღალი საჭიროება ასევე უკავშირდება სასწავლო დატვირთვასა და საგამოცდო შფოთვასთან გამკლავებას, რისი გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი, სავარაუდოდ, არჩეული სპეციალობის სირთულესთანაა დაკავშირებული. შეგახსენებთ, ჩვენს მიერ გამოკითხული ყველა სტუდენტი მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები იყვნენ. გამოკითხულთა ნახევარი გამოხატავს სპეციალისტისგან დახმარების საჭიროებას ძილთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისთვის: უძილობა და ჭარბძილიანობა. ჩვენი ვარაუდით, ეს შეიძლება აიხსნას როგორც სასწავლო გამოწვევებით, ასევე სხვა ფსიქოლოგიური მდგომარეობით (დეპრესიულობა, შფოთვითი აშლილობა და ა.შ.) რაც შეეხება ორ ფაქტორში არსებულ სტრესორებს - თვითკრიტიკულობას და ემოციური არასტაბილურობის განცდას, მათ აქვთ ერთნაირი პროცენტული პროფესიონალის დამარების საჭიროების მაჩვენებელი. შესაძლოა, ემოციური არასტაბილურობის განცდას უკავშირდებოდეს სოციო-კულტურული ადაპტაციის სირთულეს, ხოლო თვითკრიტიკულობა უფრო მეტად დაკავშირებული იყოს სასწავლო დატვირთვასთან. მეოთხე ფაქტორში გაერთიანებულ სოციალური კონფლიქ-

დიაგრამა № 1



ტების მართვასთან დაკავშირებულ სხვა სირთულეებს (გარდა გარიყვა/ბულინგის და ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობისა) აღიარებს გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი, თუმცა არ აკონკრეტებენ - რომელია ეს სხვა სირთულე, რაც ვფიქრობთ, უნდა აიხსნას საკთხის განსაკუთრებული სენსიტიურობით (იხ. დიაგრამა № 1)

◆ დახმარების მიღების საშუალო საჭიროება გამოვლინდა შემდეგ სტრესორებთან მიმართებაში:

ა) მარტოობის ან გაუცხოების განცდა - 38%

ბ) მეგობრებთან/ჯგუფელებთან ურთიერთობა - 33%

გ) მოწყენილობის და დეპრესიის განცდა - 33%

დ) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები -33%

ე) დაბალი თვითქფექტურობა/თვითდაჯერებულობის ნაკლებობა - 30%

ვ) ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობა - 30%

მარტოობისა და გაუცხოების განცდა გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ პრობლემად აღიქმება. ეს შეიძლება აიხსნას მათთვის უცხო ქვეყანაში სოციო-კულტურული ადაპტაციის სიძნელით (ადგილობრივი ენის არ ცოდნა, მინიმლური კომუნიკაცია ქართველ თანატოლებთან და ა.შ.). სამ სტრესორთან, როგორიცაა მეგობრებთან/ჯგუფელებთან ურთიერთობა, მოწყენილობის და დეპრესიის განცდა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები, გამოვლინდა დახმარების საჭიროების თანაბარი მაჩვენებელი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამივე სტრესორი ერთმანეთთან გარკვეულ კავშირშია, რამეთუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემები აისახება ადამიანის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე, რაც, თავის მხრივ, წარმოქმნის კომუნიკაციის სირთულეს მეგობრებთან და ჯგუფელებთან. სტუდენტთა გარკვეული ნაწილისათვის პრობლემურია ჯანსაღი თვითეფექტურობისა და თვითდაჯერებულობის განცდა, რისი მიზეზიც, ერთი მხრივ, შეიძლება იყოს სასწავლო დატვირთვასთან ვერ გამკლავება, მეორე მხრივ, კომუნიკაციის ნაკლებობა თანატოლებთან. განსაკუთებით საყურადღებოა ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობის მსხვერპლი სტუდენტების ემოციური მდგომარეობა, რომელთა პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. მათთვის ფსიქოკონსულტანტის დროული მომსახურება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (იხ.დიაგრამა №2)

◆ დახმარების მიღების დაბალი საჭიროება გამოვლინდა შემდეგ სტრესორებთან მიმართებაში:

ა) მენტალური ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები - 24%

ბ) დაბნეულობა ფასეულობებთან - 22%

გ) გარიყვა/ბულინგი - 21%

დ) სიმორცხვე/მორიდებულობა/შებოჭილობა - 20%

ე) ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარება - 14,5%

მიუხედავად იმისა, რომ მესამე ჯგუფი გულისხმობს დახმარების მიღების დაბალ საჭიროებას, ამ ჯგუფშიც კი, უმეტესი მაჩვენებელი აღემატება 20%-ს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საერთაშორისო სტუდენტებში სპეციალისტის დახმარების მიღების აუცილებლობა სახეზეა. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ნახსენები იყო მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ისეთი პრობლე-

დიაგრამა №2



მები, როგორიცაა დეპრესიულობა, შფოთვა და ა.შ. სტუდენტთა გარკვეული ნაწილისთვის პრობლემატურია არა მხოლოდ ჩამოთვლილი მდგომარეობები, არამედ მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემებიც, რასაც შეიძლება მრავალი გამომწვევი მიზეზი ქონდეს. ერიქ ერიქსონის ფსიქო - სოციალური განვითარების რვა სტადიიდან მეხუთე მოზარდობის ფაზას მოიცავს, რომლის მთავარი მიზანიცაა მოზარდის საბოლოო იდენტობის ჩამოყალიბება. განვითარების ამ სტადიისთვის არსებითია დაბნეულობა ფასეულობათა სისტემაში. ვფიქრობთ, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც დაფიქსირდა გამოკითხვის შედეგად: სწავლის პირველი სამი წლის განმავლობაში დახმარების მიღების საჭიროება გამოვლინდა სტრესორთან - დაბნეულობა მორალთან, ფასეულობებთან. თითქმის თანაბარი მაჩვენებელი აქვს მეოთხე და მეხუთე ფაქტორში გაერთიანებულ სტრესორებს: გარიყვა/ბულინგს და სიმორცხვე/მორიდებულობა/შებოჭილობას. ამ მახასიათებლებით შეიძლება აიხსნას კომუნიკაციის სირთულეები, თავდაჯერებულობისა და თვითეფექტურობის დაბალი მაჩვენებელი. გამოკითხული სტუდენტებისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია დახმარება ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარებაში (დიაგრამა №3)

ზემოთ განხილული კვლევის შედეგების გაანალიზების საფუძველზე ცხადად გამოვლინდა საერთაშორისო სტუდენტების მიერ ფსიქოკონსულტაციის სერვისის მიღების საჭიროება. თან, რაც ძალიან საინტერესოა, აღნიშნული სერვისით სარგებლობის საჭიროება თითქმის თანაბრად გამოვლინდა როგორც მდედრობითი, ასევე მამრობითი სქესის წარმომადგენლებთან, რაც გვაძლევს იმის შესაძლებლობას ვთქვათ, რომ სქესთა შორის განსხვავება ფსიქოკონსულტანტის დახმარების მიღების საჭიროების კუთხით, არ შეინიშნება და ის თანაბრად სჭირდება ორივე სქესის წარმომადგენლებს. ამით კიდევ ერთხელ დაიმსხვრა გავრცელებული სტერეოტიპი, რომ ბიოლოგიური სქესი დიდწილად განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების წესს, ინტერესებს, გამოწვევებთან გამკლავების მექანიზმებს და ა.შ. გამოვლენილი საჭიროება დახმარების მიღებისა, უფრო მკაფიოა კურსებს შორის: მაღალი საჭიროება მხოლოდ პირველკურსელებთან გამოვლინდა. კურსის მატებასთან ერთად დახმარების მიღების საჭიროების ტენდენცია იკლებს, რაც, ჩვენი აზრით, აიხსნება სოციო-კულტურულ გარემოსთან და საგანმანათლებლო სივრცესთან ადაპტაციით.

საბოლოოდ, შეიძლება ვთქვათ, რომ

- საუნივერსიტეტო სივრცეში ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრის შექმნა აუცილებელია, სადაც საერთაშორისო სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იქნება ფსიქოლოგიური სერვისის ხელმისაწვდომობა.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან სასურველია მენტორობის სისტემის დანერგვა, რაც გულისხმობს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი უფროსკურსელი სტუდენტების მხრიდან პირველკურსელთა მხარდაჭერას და თანადგომას როგორც აკადემიურ, ასევე მიმღები ქვეყნის სოციალურ სივრცეში ადაპტირების გამარტივებისთვის.
- ფსიქოლოგიური კონსულტაციის ქოლგის ქვეშ დაიგეგმოს ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ვორკშოპები, ტრენინგები, საჯარო ლექციები და ა.შ.

დიაგრამა № 3



◆ შეიქმნას სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც საუნივერსიტეტო ფსიქოლოგიურ ცენტრთან კოორდინირებით, სისტემატურად უზრუნველყოფს სტუდენტების ძირითადი საჭიროებების შესწავლასა და მონიტორინგს, გამოკვეთს მათ აქტუალურ პრობლემატიკას და კონსულტირებისთვის იხელმძღვანელებს სტუდენტების საჭიროებაზე მორგებული სპეციალური გაიდლაინებით, რომელიც შემუშავდა Erasmus+ პროექტის ფარგლებში.

◆ იზრუნებს ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრისადმი სტუდენტებში ინფორმირებულობის გაზრდასა და ნდობის ამაღლებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევროკავშირის პროექტის „ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების გახსნა სტუდენტებისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ ფარგლებში ფსიქოლოგიური დახმარების ადგილობრივი საჭიროებებისა და მომსახურების პრაქტიკების კვლევის შედეგები (617980-EPP-1-2020-1-GE-EPPKA2-CBHE-SP)

გამომცემლობა „უნივერსალი“; თბილისი, 2021.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამა; უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი: 32 04 05)

ქვეპროგრამის - სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტი „სტუდენტების ფსიქოლოგიური და სოციალური სერვისის პლატფორმის მხარდაჭერა“ – ფარგლებში შესრულებული კვლევის ანგარიში.

გამომცემლობა „უნივერსალი“; თბილისი, 2022.

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამა; უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი: 32 04 05)

ქვეპროგრამა – სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტი „სტუდენტების ფსიქოლოგიური და სოციალური სერვისის პლატფორმის მხარდაჭერის“ ((პროგრამული კოდი: 32040501) – ფარგლებში შესრულებული კვლევის ანგარში; გამომცემლობა „უნივერსალი“; თბილისი, 2023.